

მარტი

2021

Nuctech Company Ltd.

საქართველოში

ანგარიში #6

სამომავლო იდეა



სამოქალაქო იდეას შესახებ

“სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის- სამოქალაქო იდეა” საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს.

ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი, ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

“სამოქალაქო იდეა” აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში. ამ თვეში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით "ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს? ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა & არასამთავრობო სექტორში: საქართველოს მაგალითი", რომელიც აფასებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ოპერაციებს მედიაში, აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.



სამოქალაქო იუსტიცია

სარჩევნი

შეჯამება	4
შესავალი	5
„Nuctech“-ი საქართველოში	8
ამერიკის შეერთებულ შტატების მდებარეობა Nuctech Company Ltd-ს მიმართ	16
Nuctech ევროპაში	17
უკრაინის საკითხი	18
Nuctech ტაივანში	19
Nuctech ნამიბიაში	20
Nuctech აკადემიურ სფეროში	22
ბიბლიოგრაფია	23

შეჯამება

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეას“ China Watch-ის მეექვსე ანგარიში ეფუძნება ჩინეთის სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი „Nuotech company limited“-ის კვლევას და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა - კომპანიის თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან, მის სახელთან ასოცირებული დარღვევები, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების სატენდერო პროცედურებში, მის მიერ მოწოდებული უსაფრთხოების მოწყობილობების გაუმართაობა და კორუფციული სკანდალები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კერძოდ, ანგარიში მიმოიხილავს კომპანია „Nuotech“-ის გადაცდომებს საქართველოს, ნამიბიას, ტაივანის და ევროპის მაგალითებზე, რომელიც შეეხება მის ერთობლივ სამხედრო მიზნებზე დაფუძნებულ კავშირებს რუსეთთან და აშშ-ს მიერ გაწეულ წინააღმდეგობრივ პოლიტიკას მის მიმართ.

კომპანია „Nuotech“ ქართულ ბაზარზე პირველად 2008 წლის მარტში გამოჩნდა, როდესაც იმდროინდელმა ფინანსთა მინისტრმა ნიკა გილაურმა, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწერა „საქართველოს მთავრობისათვის საინსპექციო-შემოწმებითი კომპლექსების მიწოდების პროექტის რეალიზაციის შესახებ“ ხელშეკრულებას კომპანია „Nuotech Company Limited“-თან. აუდიტის სამსახურის 2014 წლის დასკვნის მიხედვით, 2012 წელს შემოსავლების სამსახურმა ყაზბეგისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე რენტგენული შემოწმების სისტემების შესყიდვები საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განახორციელა. ამ უკანასკნელმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კონკურსის გარეშე შეისყიდა საქონელი კომპანია „Nuotech Company Limited“-ისგან, რის გამოც, საბოლოო ჯამში, 215 368 აშშ დოლარით მეტი თანხა გადაიხდა.

2011-2013 წლებში შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებული ტენდერების ფარგლებში მონაწილე მიმწოდებლებმა განაცხადეს დასაბუთებული პრეტენზიები სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ, იმასთან დაკავშირებით, რომ შესყიდვების ობიექტზე ტექნიკური და-

ვალების მახასიათებლები მორგებული იყო „Nuotech Company Limited“-ზე და იმდენად იყო გართულებული რომ, ბევრ მომწოდებელს შეეზღუდა მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მხოლოდ 2018-2020 წლებში შემოსავლების სამსახურმა, გამარტივებული შესყიდვების გზით, „Nuotech Company Limited“-სგან ჯამში 5 870 722.48 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა, რომლის მიზანიც, შემოსავლების სამსახურის მფლობელობაში უკვე არსებული Nuotech-ის ფირმის პროდუქციის ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება იყო.

ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც Nuotech-ს სათანადო წინააღმდეგობას უწევს და შიდა კრიტიკულ ინდუსტრიებზე წვდომას უზღუდავს, ამერიკის შეერთებული შტატებია. აშშ-ს სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაციამ Nuotech-ის დანადგარები 2014 წელს აკრძალა და კომპანიის გადაცდომების დეტალური მიმოხილვა საიდუმლო დოკუმენტის სახით წარმოადგინა, რაც მის საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნებოდა. უფრო მეტიც, აშშ-ს მთავრობა მოუწოდებს თავის ევროპელ მოკავშირეებს, რომ Nuotech-ს სახელმწიფო ტენდერებთან წვდომა შეუზღუდონ და მის მიერ მოწოდებული ბარგის სკრინინგის ტექნიკა უგულებელყონ. თუმცა, დღესდღეობით ევროპის სახელმწიფოები ინდივიდუალურად რეაგირებენ Nuotech-ის და მისი საქმიანობის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე. მაგალითად, მაშინ როცა Nuotech წარმატებით იგებს ტენდერებს ესტონეთში, ფინეთსა და ხორვატიაში, ლიატუვის მთავრობა ოფიციალურად კრძალავს ამ კომპანიის მიერ წარმოებულ მოწყობილობებს.

ძალიან ხშირად გვეკითხებიან კონკრეტულ ზიანზე, რომელიც შეიძლება ჩინურ კომპანიასთან თანამშრომლობით ქვეყანას მიადგეს. მაგალითად, უკრაინაში Nuotech-მა არამართო არასრული და დეფექტური მოწყობილობები მიაწოდა უკრაინის საბაჟოებს, არამედ სახელმწიფო უსაფრთხოების ბიუროს საქმეც კი მოუგო სასამართლოში. სამწუხარო გამოცდილება აქვს ნამიბიასაც, რომელიც პეკინმა

ჩინეთის ინტერნეტ საძიებო სივრციდან ამოიღო და ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე მასთან დაკავშირებული ყველა სახის მედია ცენზურა დაამყარა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა Nuctech-თან ასოცირებული ანტიკორუფციული სკანდალის გამოძიება დაიწყო. ეს გადაწყვეტილება ჩინეთის ხელისუფლებამ იმიტომ მიიღო, რომ ნამიბიის კორუფციის სკანდალში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის, ჰუ ძინტაოს ვაჟი, ჰუ ჰაიფენგი მონაწილეობდა. გლობალური ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად, ჩინეთი დღემდე ეფექტურად ახერხებს მოსახლეობისთვის მისთვის არასასურველი ინტერნეტ პორტალებისა და საძიებო წყარო-

ების აკრძალვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური გავლენების გაფართოებისა და კორუფციულ და თალღითურ გარიგებებში მონაწილეობის გარდა, Nuctech და მისი მფლობელი ცინხუას უნივერსიტეტი გავლენების გავრცელებას აკადემიური სფეროს გამოყენებითაც ცდილობენ. კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს სანკტ პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მაღალენერგეტიკული რენტგენის აპარატურის, ანტიტერორისტული აღჭურვილობისა და სხვა ტექნოლოგიების შექმნის საკითხებში, რომელთა სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების პოტენციალიც არსებობს.

შესავალი

Nuctech Company Limited



Nuctech Company Ltd წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაქვემდებარებაში მყოფ კომპანიას, რომელიც 1997 წელს დაარსდა, როგორც ცინხუას უნივერსიტეტის შვილობილი კომპანია. ის დააფუძნა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის, ჰუ ძინტაოს ვაჟმა და მას შემდეგ, თავის საქმიანობას მსოფლიოს [160 ქვეყანაში](#) ეწევა. კომპანიის [ოფიციალური ვებგვერდის](#) თანახმად, ის პასუხისმგებელია

უსაფრთხოების ინსპექტირების ინდუსტრიაში "მოწინავე ტექნოლოგიის, უნაკლო პროდუქტებისა და ინტეგრირებული გადაწყვეტილებების მიწოდებაზე... კერძოდ, სამოქალაქო ავიაციის, საბაჟოს, რკინიგზის, მაგისტრალის, ურბანული რკინიგზის, ლოჯისტიკის, სასამართლო სისტემის და უსაფრთხოების სხვა სფეროებში." ამასთანავე, Nuctech-ის მიერ მოწოდებული უსაფრთხოების პროდუქცია და მომსახურება შეშფოთებას იწვევს მის მომ-

Tsinghua University

清华大学

Tsinghua University is designated very high risk for its high level of defence research and alleged involvement in cyber attacks.

Tsinghua University is considered China's leading university in science and technology. Often characterized as 'China's MIT', Tsinghua is highly ranked globally, while also being the alma mater of numerous Chinese leaders, including Xi Jinping. Tsinghua has been included in numerous Chinese educational initiatives, including acting as a Class A institution in the Double First-Class University Plan and with membership in China's C9 League. As of spring 2018, Tsinghua University had 190 research institutions operating across a range of fields.

Tsinghua engages in a range of military research and was awarded secret-level security credentials for classified research in 2007. In advancing military-civil fusion, Tsinghua also continues its 'fine tradition' of serving China's national security and defense, actively creating new platforms and initiatives to support this strategy. Not only its dedicated defence

VERY HIGH
RISK CATEGORY

SECRET
SECURITY CREDENTIALS

MAJOR DEFENCE LABORATORIES

ESPIONAGE OR MISCONDUCT

მარებელ სახელმწიფოებში. მათი მტკიცებით, კომპანია მონაწილეობს სკანდალურ ბიზნეს საქმიანობაში აზიაში, აფრიკაში, ევროპასა და ამერიკაში. Nuctech-თან დაკავშირებულ რამდენიმე სკანდალურ ბიზნეს საქმიანობის შემთხვევას საფუძვლიანად მიმოვიხილავთ ამ ანგარიშშიც.

Nuctech გამოირჩევა დაბალი ფასებით, რაც მას სამომხმარებლო ბაზარზე დასავლეთის კონკურენტ კომპანიებთან შედარებით, უფრო მიმზიდველს ხდის. მიუხედავად ამისა, მის გლობალურ რეპუტაციაზე უარყოფით გავლენას ახდენს მისი შეღავათიანი სესხებით გამოწვეული უკანონო დემპინგი და კიბერ ჯაშუშობა, რომელსაც ჩინეთის სახელმწიფო დაზვერვის სააგენტოები მსოფლიოში გავრცელებული Nuctech-ის უსაფრთხოების მოწყობილობების საშუალებით ახორციელებენ. გარდა ამისა, Nuctech მთელ მსოფლიოში კორუფციული გარიგებების გამო კრიტიკის საგანი ხშირად ხდება.

მიუხედავად Nuctech-ის წინააღმდეგ არსებული ბრალდებებისა, ეს უკანასკნელი მაინც ახერხებს ეკონომიკური გავლენების გაფართოებას ისეთი განვითარებადი სახელმწიფოების ხარჯზე, როგორც საქართველოა. საჭაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციისა და „სამოქალაქო იდეას“ მიერ შემოსავლების სამსახურისგან გამოთხოვილი საჭარო ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა 14 762 192.5 აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები განახორციელა Nuctech company limited-სგან. აღნიშნული შესყიდვების ფარგლებში, წლების განმავლობაში ფიქსირდებოდა არაერთი პრეტენზია Nuctech company limited-ს ლობირებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აუდიტის სამსახურის 2014 წლის დასკვნის მიხედვით, 2012 წელს Nuctech company limited-თან განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში დაფიქსირდა დარღვევები.

Nuctech-თან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ქმედებებს ახალისებს მისი დამფუძნებელი ცინხუას უნივერსიტეტი. ეს უკანასკნელი იმ სამეცნიერო და აკადემიურ ინსტიტუტებს შორისაა, რომლებიც ძალიან მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორიაში იქცებიან. კერძოდ, ცინხუას უნივერსიტეტს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოზე განხორციელებულ კიბერშეტევებსა და კიბერ ჯაშუშობაში ადა-

ნაშაულებენ. [Unitracker](#)-ის მიხედვით, ცინხუას უნივერსიტეტი ტექნოლოგიის განვითარებისა და მეცნიერების კუთხით ჩინეთის წამყვანი უნივერსიტეტი და ჩინეთის განათლების სამინისტროს ზედამხედველობით, მრავალ სამხედრო ინიციატივას ახორციელებს. ის მოიცავს თავდაცვის რვა ლაბორატორიას, რომლებიც მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, ბირთვული შეიარაღება, სანავიგაციო ტექნოლოგია და ა.შ. უნივერსიტეტი მონაწილეობდა კომპლექსურ კიბერ-შეტევებში, რომლებიც ხორციელდებოდა ტიბეტელებისა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოების როგორც საჭარო, ასევე კერძო სექტორების წინააღმდეგ. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამჟამინდელი გენერალური მდივანი და ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარე, სი ძინპინი ცინხუას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. შესაბამისად, ეჭვგარეშეა, რომ მისი განშტოება Nuctech Company Limited ემსახურება ჩინეთის კომუნისტური პარტიის ინტერესებს.

კომპანია Nuctech მუდმივად უარყოფს ამერიკელ და ევროპელ ექსპერტთა ბრალდებებს, რომლებიც ეჭვობენ, რომ მისი მზარდი გლობალური გავლენით და მოწყობილობების მასობრივი განლაგებით ევროპის პორტებსა და აეროპორტებში, „Nuctech“-მა შეიძლება მიიღოს წვდომა [კრიტიკულ ინფორმაციაზე](#), რომელიც შემდგომში ეფექტურად გამოიყენება ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამ უკანასკნელს T-მა „[აეროპორტის უსაფრთხოების ჰუავეი](#)“ უწოდა. უფრო მეტიც, 2019 წელს Nuctech-ის მშობლიური კომპანიის “Tsinghua Tongfang Co Ltd” 21 პროცენტიანი წილი გადაეცა C ([CNNC](#))-ს, რომელიც ჩინეთის სახელმწიფოს ბირთვული იარაღის მართვაზე პასუხისმგებელია. ამრიგად, ეს გარემოება ამტკიცებს არგუმენტს იმის შესახებ, რომ Nuctech Company Limited სერიოზულ საფრთხეს უქმნის დასავლური საზოგადოების ფართო სპექტრის ეროვნულ უსაფრთხოებას. მოცემული ანგარიში განიხილავს ამ კომპანიის მიერ საქართველოში მოგებულ ტენდერებთან დაკავშირებულ პრობლემებს, აფასებს მის აპარატურასთან/მომსახურებასთან არსებულ დარღვევებს ევროპის, აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოების მაგალითებზე, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომპანიის შელახულ საერთაშორისო რეპუტაციას.

Nuctech-თან დაკავშირებული სკანდალური მოვლენების ქრონოლოგია

- 2006-2007** წლებში – ფილიპინებში , კანონმდებლებმა გამოავლინეს, რომ სახელმწიფო საბაჟო სააგენტომ ზედმეტი თანხა გადაიხადა, როდესაც მან „Nuctech“-თან გააფორმა [150 მილიონი აშშ დოლარის](#) ღირებულების არასატენდერო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი თავის სკანერებს დააინსტალირებდა გაცვლით პუნქტებში. მთავრობამ ეს პროექტი ჩინეთისგან აღებული ვალით დააფინანსა.
- 2006-2009** წლებში - ნამიბიაში  ჩინეთის მოქალაქე Yang Fan, რომელიც აფრიკაში Nuctech-ს წარმომადგენელი იყო და ნამიბიის ორი მოქალაქე, საჯარო სამსახურის კომისიის წევრი Teckla Lameck და მისი ბიზნეს პარტნიორი Kongo Mokaxwa დააკავეს და ბრალი დასდეს Nuctech Company Ltd.-სა და ნამიბიის მთავრობას შორის გაფორმებული [55.3 მილიონი აშშ დოლარის](#) ღირებულების კონტრაქტთან დაკავშირებით კორუფციის, ფულის გათეთრების, მოსყიდვისა და თაღლითობის გამო.
- 2009-2010** წლებში - ევროკავშირმა  Nuctech Company Ltd. დემპინგში დაადანაშაულა და Nuctech-ის სკანირების სისტემების იმპორტზე დროებითი [ანტიდემპინგური გადასახადი](#) დააწესა.
- 2012** წელს - საქართველოს  შემოსავლების სამსახურმა 4 566 775 აშშ დოლარის ღირებულების რენტგენული შემოწმების სისტემა შეიძინა Nuctech Company Limited -გან ყაზბეგისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის. მოგვიანებით, 2014 წელს კი, აუდიტის სამსახურმა თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ შესყიდვების ფარგლებში, გაუშიფრავია სახელშეკრულებო ვალდებულებების სხვადასხვა კომპონენტების ღირებულებები.
- 2014** წელს - საქართველოს  შემოსავლების სამსახურმა 4,324,695 აშშ დოლარის ღირებულების 3 ერთეული სტაციონალური რენტგენული კონტროლის სკანერი შეიძინა Nuctech Company Limited-გან ნინოწმინდის, ვალესა და სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის. აღნიშნული ტენდერის ფარგლებში, შესაბამისობის დადგენის პროცესში, შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ რამდენიმე [საჩივარი შევიდა. რომელიც Nuctech company limited-ს ლობირებას ეხებოდა.](#)
- 2014** წელს - ამერიკის შეერთებულ შტატებში , სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაციამ (TSA) თავდაპირველად Nuctech-ის დანადგარები 2014 წელს [აკრძალა](#) და მის საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, საიდუმლო დოკუმენტის სახით კომპანიის გადაცდომების დეტალური მიმოხილვა წარმოადგინა.
- 2016** წელს - Nuctech-ის არალეგალურ საქმიანობაში ჩართვის შესახებ სკანდალი ტაივანში , ტაოიუანის რაიონში დაიწყო. ტაივანის საავიაციო პოლიციის ბიუროს საავიაციო უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა, Sun Yi-ming-მა მიიღო 3.6 მილიონი ტაივანური ახალი დოლარის ოდენობის [ქრთამი](#) ტაივანში Nuctech-ის წარმომადგენლისგან, ჩინეთის მოქალაქე Li Weilin-სგან, ტაივანის აეროპორტებისთვის Nuctech-სგან 17 რენტგენული სკანერის აპარატის შესყიდვის განსახორციელებლად.
- 2016-2019** წლებში - უკრაინაში , Nuctech-ს მიენიჭა 482,399 მილიონი უკრაინური გრივნის ღირებულების [კონტრაქტი](#), რომელიც ქვეყნის საგუშაგოებზე სტაციონარული სკანერების განთავსებას ითვალისწინებდა. სამშენებლო ნებართვებისა და პროექტისთვის საჭირო ექსპერტიზის არარსებობის მიუხედავად, უკრაინის სახელმწიფო ფისკალურმა სამსახურმა Nuctech-ს სამშენებლო სამუშაოების დაწყების ნებართვა მისცა. 2019 წელს სახელმწიფო საბაჟო სამსახურის უფროსმა, მაქსიმ ნეფედოვმა განაცხადა, რომ შვიდი სკანერის ნაცვლად, უკრაინამ Nuctech-ისგან მხოლოდ ოთხი მიიღო და ყველა მათგანი დეფექტური იყო.
- 2018-2020** წლებში - მიუხედავად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის [დასკვნისა](#), საქართველოს  შემოსავლების სამსახურმა „Nuctech Company Limited“-სგან ჯამში 5 870 722.48 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა, რომლის მიზანიც, შემოსავლების სამსახურის მფლობელობაში უკვე არსებული Nuctech-ის ფირმის პროდუქციის, ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება იყო.

- 2019 ● წელს - Nuctech-მა საჯაროდ განაცხადა, რომ სანკტ პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტთან  მჭიდროდ თანამშრომლობს [მაღალტექნოლოგიური რენტგენის აპარატურის](#), ანტიტერორისტული აღჭურვილობისა და სხვა ტექნოლოგიების შექმნის საკითხებში, რომელიც შემდგომში სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება.
- 2020 ● წელს - კანადის  ხელისუფლებამ Nuctech-ს მიანიჭა 6,8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების [კონტრაქტი](#), რომელიც ითვალისწინებდა კანადის 170 საელჩოს, საკომისიოებისა და საკონსულოების სკანერის მოწყობილობებით მომარაგებას. კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანსუა-ფილიპ შამპანემ 2020 წლისთვის შეთანხმების გადახედვის პირობა დადო.
- 2021 ● წელს - ლიეტუვის  ხელისუფლებამ ოფიციალურად მიიღო გადაწყვეტილება, [აკრძალოს](#) ლიეტუვის სამი საერთაშორისო აეროპორტისთვის Nuctech-ის აღჭურვილობის მიწოდება.
- 2021 ● წელს - ლატვიის  სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (VDD) მიერ Nuctech-ის შესახებ გავრცელებული ნეგატიური მოსაზრებების მიუხედავად, [ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური](#) (SRS) აგრძელებს Nuctech-ის მოწყობილობების გამოყენებას ლატვია-რუსეთის ყველა სასაზღვრო პუნქტზე.

„Nuctech“-ი საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, ჩინური კომპანია [Nuctech company limited ქართულ ბაზარზე პირველად 2008 წლის მარტში გამოჩნდა](#). საქართველოს იმდროინდელმა ფინანსთა მინისტრმა, ნიკა გილაურმა, საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწერა „საქართველოს მთავრობისათვის საინსპექციო-შემოწმებითი კომპლექსების მიწოდების პროექტის რეალიზაციის შესახებ“ ხელშეკრულებას კომპანია Nuctech Company Limited-თან.

2010 წლის ივნისში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, ფუ ზინგი ჩინეთის მთავრობის ბიზნეს დელეგაციასთან ერთად ესტუმრა საქართველოს. [ვიზიტის დროს, მხარეებმა ხელი მოაწერეს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ თანამშრომლობის ხელშეკრულებას](#), რომლის ფარგლებშიც მოხდა ხელშეკრულების გაფორმება ჩინურ კომპანია Nuctech-სა და ქართულ მხარეს შორის. ჩინურმა მხარემ აღნიშნა, რომ ჩინურმა მაღალტექნოლოგიურმა კომპანიამ Nuctech-მა, საქართველოს შემოსავლების სამსახურს უკვე გადასცა კონტეინერების შემოწმების სისტემა ბათუმის პორტში, სარფის საზღვარზე და სხვა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე. გარდა ამისა, 2011 წლის პირველ ნახევრამდე Nuctech-მა სარკინიგზო შემოწმების



სისტემა ასევე უნდა დაამონტაჟოს ფოთში. [საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს 2015 წლის ანგარიშის - „სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი“-ის](#) მიხედვით განსაზღვრულ პერიოდში ყველაზე მსხვილ ელექტრონულ ტენდერებში გამარჯვებულ უცხოურ კომპანიებს შორის Nuctech მეოთხე ადგილზე იყო.



2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა [დასკვნა](#) (შემდგომში იხ. დასკვნა) , რომლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N464 განკარგულების საფუძველზე სტაციონალური რენდგენოსკანერების (NUCTECH MB1215DE) შესყიდვის მიზნით კომპანია Nuctech Company Limited-თან გამართივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ორი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზე უნდა მომხდარიყო [რენტგენული შემოწმების სისტემის მიწოდება ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტზე \(2012 წლის 3 აპრილის ხელშეკრულება N1/306 - 4,173.5 ათასი ლარი \(\[შესაბამისი კურსით 2,514,156 აშშ დოლარი\]\(#\)\)\)](#) და [წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე \(2012 წლის 16 მაისის ხელშეკრულება N1/428 - 3,327.5 ათასი ლარი \(\[შესაბამისი კურსით 2,052.619 აშშ დოლარი\]\(#\)\)\)](#). წინამდებარე ხელშეკრულებების ღირებულებას შორის განსხვავება **846.0 ათასი ლარია ([შესაბამისი კურსით 521,868 აშშ დოლარი](#))**, თუმცა ორივე ხელშეკრულების ძირითადი პირობები ერთმანეთის იდენტური იყო, გარდა [საქონლის მიწოდების ადგილისა](#) და ხელშეკრულებების მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნისა, რომლის თანახმად [ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტის შემთხვევაში რადიაციის საწინააღმდეგო ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდებინა გამყიდველს, ხოლო წითელი ხიდის შემთხვევაში მყიდველს](#).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თავის დასკვნაში სწორედ, ამ სხვაობაზე გაამახვილა ყურადღება და იგი შეაფასა, როგორც „გაუშიფრაჟი“, ვინაიდან, არცერთ ხელშეკრულებას არ ერთვოდა თან დოკუმენტი, რომლითაც ახსნილი იქნებოდა ფასთა შორის არსებული სხვაობა - **846.0 ათასი ლარი ([შესაბამისი კურსით 521,868 აშშ დოლარი](#))**:

[„თუ ეს სხვაობა რადიაციის საწინააღმდეგო ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების ღირებულებისთვის იყო გათვალისწინებული, მაშინ ხელშეკრულებას \(N1/306\) თანდართული უნდა ჰქონოდა ხარჯთაღრიცხვა \(რომელიც არ ახლავს მას\). როგორც გაირკვა, აღნიშნული სამუშაოები შესრულებული აქვს სუბკონტრაქტორ შპს „დია კონსტრაქშენ კომპანის“ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მი-](#)

[ხედვით აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 306.5 ათასი აშშ დოლარი \(\[შესაბამისი კურსით 502.7 ათასი ლარი\]\(#\)\). აქედან გამომდინარე გაუმართლებელია იგივე \[საქონელში 343.2 ათასი ლარით \\(215.368 აშშ დოლარი\\) მეტი თანხის გადახდა.\]\(#\)“](#)

დასკვნის მიხედვით, ასევე გაუშიფრაჟია სახელშეკრულებო ვალდებულებების სხვა კომპონენტების ღირებულებებიც (უშუალოდ საქონლის, პროგრამული უზრუნველყოფის, ინსტალაციის, ტრენინგის და სხვა ღირებულებები). [ვერ იქნა ახსნილი აგრეთვე ის ფაქტი, რომ ორივე ხელშეკრულების ფარგლებში იმპორტირებული იდენტური საქონლის საბაჟო დეკლარაციებში მითითებულია მნიშვნელოვნად განსხვავებული ფასები.](#)

მნიშვნელოვანია, აქვე განვიხილოთ და შევადაროთ ნინოწმინდის, ვალესა და სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის ანალოგიური დანიშნულების 3 ერთეული სტაციონალური რენტგენული კონტროლის სკანერისა და მისთვის ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შეძენის მიზნით, შემოსავლების სამსახურის მიერ 2013 წლის 13 ნოემბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA130024704) პირობები და ფარგლები. შემოსავლების სამსახურის ტენდერის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 9,960.0 ათასი ლარი განისაზღვრა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა - Rapiscan Systems LTD UK Corporation-მა და Nuctech Company Limited. ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა იმავე Nuctech Company Limited-მა სატენდერო წინადადებით 7,560.0 ათასი ლარი. რიცხვების შედარება აქაც მნიშვნელოვან სხვაობას გვაძლევს, და იგი ზემოთ უკვე ნახსენებ, [ყაზბეგის საბაჟო გამშვები პუნქტის](#) ხელშეკრულების ღირებულებასთან შედარებით 1,653.5 ათასი ლარით, ხოლო [წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტის](#) ხელშეკრულების ღირებულებასთან შედარებით - 807.5 ათასი ლარით ნაკლებია. ამ საკითხზე აუდიტის სამსახურის დასკვნაში ერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი, რომ მიუხედავად იმისა საკმარისი დრო იყო ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად, კონკრეტულმა უწყებამ მაინც სხვა გზა აირჩია და შესაბამისად, სახელმწიფოს მომსახურების მიღება ჩვეულებრივთან შედარებით მნიშვნელოვნად ძვირი დაუჯდა.

[დასკვნაში ასევე აღინიშნა ის გარემოება, რომ შემოსავლების სამსახურს წლის დასა-](#)

[წყისიდან ჰქონდა საკმარისი დრო ტენდერის გამოსაცხადებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ყაზბეგისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე რენტგენული შემოწმების სისტემების შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობისთვის მიმართვა მიზანშეუწონელი იყო. მაშასადამე, ზემოხსენებული შესყიდვები ელექტრონული ტენდერების საშუალებით რომ განხორციელებულიყო, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, კონკურენციის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მიღებული ყოფილიყო მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების ეკონომია.](#)

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აღნიშნული მოცემულობიდან?

- ✓ შემოსავლების სამსახურმა ყაზბეგისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე რენტგენული შემოწმების სისტემების შესყიდვები საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განახორციელა,
- ✓ შემოსავლების სამსახურს ჰქონდა საკმარისი დროც და შესაძლებლობაც, რომ აღნიშნულ ობიექტებზე გამოეცხადებინა ტენდერები, მაგრამ ეს არ გააკეთა,
- ✓ შემოსავლების სამსახურმა კანონის დარღვევით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელა შესყიდვები, კონკურსის გარეშე, კომპანია „NUCTECH Company Limited“-ისგან.
- ✓ შესაბამისად, შემსყიდველმა ბევრად მეტი თანხა გადაიხადა ვიდრე 2013 წელს გამოცხადებული ტენდერის მეშვეობით იმავე კომპანიისგან შესყიდულ, იგივე ობიექტზე და აზარალა ბიუჯეტი.

ზემოხსენებული გარემოებები აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ შემოსავლების სამსახურმა მიზანმიმართულად განახორციელა მაღალფასიანი შესყიდვა არაკონკურენტულ გარემოში, რაც თავის მხრივ ასევე, იწვევს ეჭვს დაკავშირებული მხარეების არსებობასა და კორუფციულ გარიგებაზე.

Nuctech Company Limited-ის მიერ საქართველოში განხორციელებული შემდეგი პროექტიც, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერს უკავშირდება.

იმისათვის, რომ შევაფასოთ, აღნიშნული ტენდერის პროცედურული გამართულობა, ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ასევე Nuctech-ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი და ჯეროვანება, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ შემოსავლების სამსახურის მიერ, ორი წლით ადრე - 2011 წლის 2 დეკემბერს გამოცხადებული [ტენდერი SPA110030724](#) ორი სტაციონალური cargo X-ray სკანერისა და ერთი პორტატული cargo X-ray სკანერის შესყიდვის მიზნით. აღნიშნული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 15,500,000 ლარი, ხოლო წინადადება წარადგინა სამმა პრეტენდენტმა: Nuctech Company Limited-მა, SMITHS HEIMANN SAS-მა და „შპს რაპისკან სისტემს“-მა. მათგან საუკეთესო ფასი „რაპისკან სისტემს“ ჰქონდა - 10`578`800.00 ლარი. სატენდერო კომისიას არც კი განუხილავს პრეტენდენტების წინადადებების შესაბა-

მისობა სატენდერო დოკუმენტაციასთან, 2011 წლის 27 დეკემბრის N3 ოქმით ტენდერი შეწყვეტილად გამოაცხადა. მიზეზად კი, დასახელდა შემოსავლების სამსახურის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, რომლის მიხედვითაც შემოსავლების სამსახურის ხარჯები მხოლოდ შრომითი ანაზღაურების კუთხით დაფინანსდა.

განსხვავებით 2011 წელს შეწყვეტილი ტენდერისა, ფაქტობრივად შესყიდვების იგივე ობიექტზე ტექნიკური დავალების მახასიათებლები არსებითად შეიცვალა, რამაც გამოიწვია ტენდერში მონაწილე

პრეტენდენტთა შეზღუდვა და შესაბამისად, მონაწილეთა რაოდენობის შემცირება. ერთ-ერთმა მიმწოდებელმა - „რაპისკან სისტემს“-მა შემსყიდველის მიმართ საჭაროდ გამოთქვა კიდევ პრეტენზია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც შემდგომში [სატენდერო კომისიის სხდომის N3 ოქმშიც](#) აისახა.

„რაპისკან სისტემს“-ის წარმომადგენელი იან უილიამსი მიუთითებდა იმ გარემოებებზე, რომ 2011 წლის 23 დეკემბერს ჩატარებულ ტენდერში SPA110030724 მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში ცნობილმა მწარმოებელმა კომპანიებმა, ხოლო 2013 წელს გამოცხადებულ ტენდერში ანალოგიურ შესყიდვების ობიექტზე ტექნიკური დავალების მახასიათებლები იმდენად იყო გართულებული და შეცვლილი რომ, ბევრ მიმწოდებელს შეეზღუდა მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. პრეტენზიის წარმდგენმა მაგალითად მოიყვანა მუშაობის ტენიანობის მოთხოვნილი მინიმალური პარამეტრი - 0% -99%, რომელიც გამორიცხავს სხვა მწარმოებელი კომპანიების მიერ ამ პარამეტრის დაკმაყოფილებას, გარდა ჩინური კომპანია Nuctech Company Limited-ისა, რომელსაც ეს პარამეტრი მითითებული აქვს თავის კატალოგში და რომლის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია. ზემოხსენებულმა მიმწოდებელმა პრეტენზიის ფარგლებში დასვა ლეგიტიმური კითხვები:

საქართველოს ან მსოფლიოს რომელ კუთხეში გეგულებათ ადგილი სადაც მინიმალური ტენიანობა 0%-ს აღწევს, ხოლო მაქსიმალური 99%-ს?

იგეგმება თუ არა შემსყიდველის მხრიდან აღნიშნული არარეალური და სხვა მსგავსი მოთხოვნების შეცვლა და იქნება თუ არა ტენდერში დისკვალიფიცირებული ის პრეტენდენტი, რომელსაც ტენიანობის მახასიათებელში 5%-95% ექნება მითითებული?

ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვა დასვა (28.11.2013 09:45) სხვა მიმწოდებელმაც - „შპს იბერიონის“ წარმომადგენელმა ნიკოლოზ არჩვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ბრძანება N11/1743-ით გაწერილია საქართველოს კლიმატური მონაცემები, რომლებსაც არ შეესაბამება სატე-

ნდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური დავალება.

საჭაროდ გაცხადებული პრეტენზიების შემდგომ, შემსყიდველმა დააბუსტა ზემოხსენებული მონაცემები, ნესტიანობის მაჩვენებლად 5%-95% განისაზღვრა. მიუხედავად ამისა, ტენდერში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ორმა მიმწოდებელმა შეძლო: ბრიტანულმა კომპანიამ შპს „რაპისკან სისტემს“-მა და [ჩინურმა კომპანიამ Nuctech Company Limited-მა, რომელმაც საუკეთესო წინადადება - 7`560`000.00](#) (შესაბამისი კურსით 4,324,695 აშშ დოლარი) ლარი წარადგინა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, Nuctech-ის წინადადების შესაბამისობის კვლევისას, შესყიდვების ობიექტის მახასიათებლებთან დაკავშირებით არ ყოფილა შეუსაბამობა. სატენდერო კომისიის [2013 წლის 23 დეკემბრის ოქმი N6](#)-ით კომპანიას დაევალა მხოლოდ დოკუმენტაციის თარგმანისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა.

შესაბამისობის დადგენის პროცესში, შემოსავლების სამსახურის წინააღმდეგ [შპს „რაპისკან სისტემსმა“ წარადგინა ორი საჩივარი - 2013 წლის საჩივარი #DIS130024704_01\(SPA\) და 2014 წლის 21 იანვარის საჩივარი #DIS130024704_02\(SPA\)](#), რომელთა ფარგლებშიც, დღის წესრიგში დააყენა შემდეგი საკითხები და მათგან გამომდინარე მოთხოვნები:

კომპანია Nuctech-ის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული არაერთი დოკუმენტი შეიცავს ტექნიკური თუ სხვა ხასიათის ხარვეზებს, გამარჯვებულად დასახელებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული სტაციონალური რენტგენული დათვალიერების მონოკომპლექსი MB1215LC-ის რეალური ტექნიკური პარამეტრები **არ შეესაბამება დეკლარირებულ და ტენდერის ტექნიკური დავალების მიხედვით მოთხოვნილ პარამეტრებს.**

გამომდინარე იქედან, რომ კომპანია Nuctech-მა წარმოადგინა

ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იყო, რომ მათ მიერ ტენდერში წარმოდგენილი მოდელი MB1215LC ინსტალირებულია ლიტვაში (The Department of Customs of Lithuania), საჩივრის ავტორმა მოითხოვა **ოფიციალური მიმართვის განხორციელება ლიტვასთან იქ ინსტალირებულ MB1215LC მოდელის ზუსტ ტექნიკურ მონაცემებთან და პარამეტრებთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული ქმედებით ამომწურავად გაეცემოდა პასუხი ყველა არსებულ შეკითხვას.**

Nuctech Limited Company-ს არ აქვს წარდგენილი თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ამონაწერი იმ ნოტარიული აქტიდან, რითაც დასტურდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების გამცემი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება აღნიშნულთან დაკავშირებით და ცნობა მენარმეთა და არასამეწარმეო

(არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დავების განმხილველმა საბჭომ, 2013 წლის საჩივარი #DIS130024704_01(SPA) დაუსაბუთებლად მიიჩნია და იგი არ დააკმაყოფილა, ხოლო 2014 წლის 21 იანვარის საჩივარი #DIS130024704_02(SPA) ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სატენდერო კომისიას დაავალა მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა.

სატენდერო კომისიამ 2014 წლის 25 მარტს, განიხილა ზემოხსენებული საკითხები და N8 ოქმის შესაბამისად, დაადგინა, რომ Nuctech Company Limited -ს მიერ წარდგენილი დოკუმენტები შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციას და იგი ტენდერში **გამარჯვებულად გამოაცხადა.** 2014 წლის 8 აპრილს კი, **მასთან გააფორმა ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერი SPA130024704-ით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით.** ამის შემდეგ იწყება ხელშეკრულებით გათვალისწინე-



ბული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები:

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩინურ კომპანიას 2015 წლის 8 იანვრამდე უნდა შეესრულებინა, თუმცა იგი დღემდე¹ არაა დასრულებული. ვადაგადაცილება ჯამში 5 წელზე მეტია.

ამ ხნის განმავლობაში ხელშეკრულებაში 7 ცვლილება განხორციელდა, მათ შორის მიწოდების ადგილთან და ფასთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული და განხილული ფაქტებიდან გამომდინარე, ჩნდება გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ შემსყიდველის ამოცანაა ხელი შეუწყოს ჩინური კომპანია Nuctech Company Limited-ის გამარჯვებას, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში საეჭვო გარემოებები გამოვლინდა. სატენდერო კომისიამ არ განახორციელა Due Diligence-ით გათვალისწინებული ვალდებულებები და არ დაინტერესდა Nuctech Company Limited-ის საერთაშორისო რეპუტაციით. ამას ემატება ისიც, რომ შემსყიდველმა შემოსავლების სამსახურმა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური დავალება მაქსიმალურად მორგო Nuctech Company Limited-ის კატალოგებს, რითაც არაკონკურენტულ გარემოში განახორციელა ტენდერი.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-121 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები და სხვა მაჩვენებლები შეუსაბამოს საერთაშორისო, ევროპის ან საქართველოს სტანდარტებს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს გამოყენებული შესაბამისი სტანდარტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმავდროულად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შესრულებისა და ფუნქციური სპეციფიკაციების ზოგად აღწერას. შესყიდვის ობი-

ექტის აღწერილობაში სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალება არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინი „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“ და სხვა.“ ნათელია, რომ შემოსავლების სამსახურმა ზემოთ განხილული არცერთი შესყიდვის ფარგლებში არ გაითვალისწინა კანონით განსაზღვრული კრიტერიუმები, ტექნიკური დავალება არ გამომდინარეობდა შემსყიდველის საჭიროებიდან, ვინაიდან როგორც შემდგომ გამოირკვა, ნესტიანობის მაჩვენებელი 0%-99% არ შეესაბამებოდა ეკონომიკის სამინისტროს ბრძანებით განსაზღვრულ საქართველოს კლიმატურ მონაცემებს. მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლები, აშკარად არაპროპორციული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ Nuctech Company Limited-ს 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებით, ნაკისრი ვალდებულებები დღემდე² არ შეუსრულებია, შემოსავლების სამსახური კვლავ აგრძელებს აღნიშნულ კომპანიასთან აქტიურ თანამშრომლობას გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, რომელიც განსხვავებით ელექტრონული შესყიდვებისა მოკლებულია გამჭვირვალობასა და საჭარობას.

1 <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=97561&lang=ge> [ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმდა 2021 წლის 15 მარტს / Last verified on March 15, 2021]

2 <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=97561&lang=ge> [ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმდა 2021 წლის 15 მარტს/last verified on march 15,2021]

2018 წლის 7 დეკემბერს, Nucltech Company Limited-სა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმდა ორი კონტრაქტი. განსხვავებით, 2013 წლისგან, ამჯერად, შემოსავლების სამსახურმა სახელმწიფო შესყიდვა განახორციელა არა ელექტრონული ტენდერის, არამედ გამარტივებული შესყიდვის გზით, რაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის გ ქვეპუნქტის შესაბამისად, „მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის აუცილებლობის მიზნით ახსნა. პირველი კონტრაქტის ფარგლებში, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურის მფლობელობაში არსებული ერთი მობილური რენტგენული შემოწმების სკანერის კომპლექტი NUCTECH MT1213LT ყაზბეგის ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება, რომლის ღირებულებაც 779881.65 აშშ დოლარს შეადგენდა. მეორე კონტრაქტის მიხედვით კი, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა სამი კომპლექტი სტაციონალური რენტგენული შემოწმების სკანერის

და რვა კომპლექტი ბარგის და ხელბარგის სკანერების ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება. შესყიდვის ჯამური ღირებულება კი 2 601 442.17 აშშ დოლარს შეადგენდა. ორივე კონტრაქტის ვადად 2024 წლის 12 იანვარი განისაზღვრა. მაშასადამე, შემოსავლების სამსახურმა გამარტივებული შესყიდვების გზით, მხოლოდ 2018 წელს Nucltech Company Limited-სგან ჯამში 3 381 323.82 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა, რომლის მიზანიც, შემოსავლების სამსახურის მფლობელობაში არსებული Nucltech-ის ფირმის პროდუქციის, ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება იყო.

2019 წლის 2 დეკემბერს და 2020 წლის 13 აგვისტოს, შემოსავლების სამსახურმა გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში კვლავ გააფორმა კონტრაქტები Nucltech Company Limited-თან. 2019 წელს გაფორმებული კონტრაქტით, შემოსავლების სამსახურმა ერთი კომპლექტი საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერის (NUCTECH MB1215HS ყაზბეგი (სოფ. ფანშეტში)) ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილები შეიძინა

სარეგისტრაციო კოდი	შემსყიდველი	მიმწოდებელი	თარიღი	სავარაუდო ღირებულება	რისკის მარკინგები
GEO170000391	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	შპს დ & გ კომუნიკაცია	28-06-2017	250250.00	■
NAT170003502	შემოსავლების სამსახური	შპს დ & გ კომუნიკაცია	31-03-2017	162500.00	■
GEO160000063	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	შპს დ & გ კომუნიკაცია	25-02-2016	395000.00	
SPA150012752	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	შპს დ & გ კომუნიკაცია	30-04-2015	582000.00	■
SPA140029290	შპს "საქართველოს ფოსტა"	შპს დ & გ კომუნიკაცია	11-12-2014	396300.00	■
SPA140012663	შემოსავლების სამსახური	შპს დ & გ კომუნიკაცია	15-05-2014	106150.00	
SPA140012494	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	შპს დ & გ კომუნიკაცია	14-05-2014	940000.00	
SPA130023235	შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	შპს დ & გ კომუნიკაცია	24-10-2013	150000.00	■
SPA130010895	საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	შპს დ & გ კომუნიკაცია	17-05-2013	2034.00	■
SPA120019304	საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	შპს დ & გ კომუნიკაცია	11-07-2012	8900.00	■ ■

412 992 აშშ დოლარად. ხოლო 2020 წელს განხორციელებული გამარტივებული შესყიდვით Nuctech Company Limited -ისგან შეისყიდა ჯამში 2 076 406.66 აშშ დოლარის ღირებულების 15 კომპლექტი საავტომობილო სტაციონალური რენტგენის, ბარგის და სხეულის სკანერის, ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილები. აღნიშნული სკანერები შემოსავლების სამსახურის მფლობელობაშია და გასული წლების მანძილზე ისინი შექმნილია სწორედ Nuctech Company Limited-ისგან ნიწონინდის, ვალეს, ლაგოდებისა და ფოთის საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, ცხრილის სახით გთავაზობთ, შემოსავლების სამსახურის მიერ Nuctech Company Limited-ისგან განხორციელებულ, ჩვენთვის ხელმისაწვდომ რამდენიმე სახელმწიფო შესყიდვას.³

უნდა აღინიშნოს, რომ Nuctech Company Limited-ის მიერ წარმოებული პროდუქცია გაცილებით უფრო ფართოდ და აქტიურად გამოიყენება ქართულ ბაზარზე და არ შემოიფარგლება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო შესყიდვებით. [მაგალითად საქართველოში დაფუძნებულ კომპანია შპს „დ & გ კომუნიკაცია“-ს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში 15 ტენდერი აქვს მოგებული, აქედან 10-მდე ტენდერში მან შემსყიდველს სწორედ Nuctech-ის ფირმის პროდუქცია შესთავაზა.](#)⁴ გარდა ამისა, ტე-

3 ცხრილში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე საჭაროდ განთავსებულ მონაცემებსა და „სამოქალაქო იდეას“ მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურისგან განცხადების საფუძველზე გამოთხოვილ და მიღებულ საჭარო ინფორმაციას, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, Nuctech Company Limited-სა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებულ ყველა ხელშეკრულება. /The information in the table is based on the data publicly posted on the electronic portal of the State Procurement Agency of Georgia and the public information received from the Revenue Service.

4 ob.see: <https://www.tendermonitor.ge/ge/organization/24628>

ასევე იხ./ Also see following tenders:
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=333013&lang=ge> მოგებულია/won
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=269651&lang=ge> შეწყვეტილია/cancelled
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=234742&lang=ge> მოგებულია/won
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=226301&lang=ge> მოგებულია/won

შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში დადებული კონტრაქტი	შესყიდვის თარიღი	შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ღირებულება	
Nuctech Company Limited -თან	2012 წლის 3 აპრილის ხელშეკრულება N1/306	2012 წლის 3 აპრილი	რენტგენული შემოწმების სისტემის მიწოდება ყაზბეგის საბაჟო გამშვებ პუნქტზე	2,514,156 აშშ დოლარი
	2012 წლის 16 მაისის ხელშეკრულება N1/428	2012 წლის 16 მაისი	რენტგენული შემოწმების სისტემის მიწოდება წითელი ხიდის საბაჟო გამშვებ პუნქტზე	2,052,619 აშშ დოლარი
ელექტრონული ტენდერის (SPA130024704)	2014 წლის 8 აპრილი	2014 წლის 8 აპრილი	ნიწონინდის, ვალესა და სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის 3 ერთეული სტაციონალური რენტგენული კონტროლის სკანერისა და მისთვის ნავეების მოწყობის სამუშაოები	4,324,695 აშშ დოლარი
კონტრაქტი N1/07.12.18/1 (#NUCIY180265A00)	2018 წლის 7 დეკემბერი	2018 წლის 7 დეკემბერი	შემოსავლების სამსახურის მფლობელობაში არსებული ერთი მობილური რენტგენული შემოწმების სკანერის კომპლექტი Nuctech MT1213LT ყაზბეგის ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება	779,881.65 აშშ დოლარი
კონტრაქტი N1/07.12.18/2 (#NUCIY181522A00)	2018 წლის 7 დეკემბერი	2018 წლის 7 დეკემბერი	3 კომპლექტი სტაციონალური რენტგენული შემოწმების სკანერის და რვა კომპლექტი ბარგის და ხელბარგის სკანერების ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება	2,601,442.17 აშშ დოლარი
კონტრაქტი N1/021219/1 (#NUCIY191661A00)	2019 წლის 2 დეკემბერი	2019 წლის 2 დეკემბერი	ერთი კომპლექტი საავტომობილო სტაციონალური რენტგენის სკანერის (NUCTECH MB1215HS ყაზბეგი (სოფ. ფანტეში)) ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება.	412,992 აშშ დოლარი
კონტრაქტი #NUCIY200851A00	2020 წლის 13 აგვისტო	2020 წლის 13 აგვისტო	15 კომპლექტი საავტომობილო სტაციონალური რენტგენის, ბარგის და სხეულის სკანერის, ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების მიწოდება.	2,076,406.66 აშშ დოლარი

ნდერების უმრავლესობაში იგი ან საერთოდ უკონკურენტო იყო, ან მაქსიმუმ 3 კონკურენტი ჰყავდა. [საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს მიერ შექმნილი სატენდერო მონიტორის მონაცემებით, შპს „დ & გ კომუნიკაცია“-ს მიერ მოგებულ ტენდერებს მინიჭებული აქვს რისკის მანგვნებლები მაღალი ფასითა კლების, დაბალი კონკურენციის, ახალად რეგისტრირებული მიმწოდებლის და ერთ შესყიდველზე დამოკიდებული მიმწოდებლის სტატუსის გამო.](#)⁵

როგორც ზემოთ განხილული ფაქტებიდან ირკვევა, Nuctech Company Limited შემოსავლების სამსახურისთვის და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისთვის“ ფავორიტ მიმწოდებელ კომპანიას წარმოადგენს.

<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=182015&lang=ge> მოგებულია/won
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=148636&lang=ge> მოგებულია/won
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=132986&lang=ge> მოგებულია/won
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=115559&lang=ge> მოგებულია/won
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=115422&lang=ge> მოგებულია/won
<http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=96041&lang=ge> მოგებულია/won
 Find on tendermonitor.ge; Supplier შპს დ & გ კომუნიკაცია / registration number: 204554721

ამერიკის შეერთებულ შტატების მელაგობა Nuctech Company Ltd-ს მიმართ



(Photo from the c, Holger Gogolin | [iStock](#) | Getty Images)

აშშ-ს მტკიცე სურვილის მიუხედავად, შეეწინააღმდეგოს ჩინურ კომპანიებს არა მხოლოდ შიდა, არამედ საერთაშორისო მასშტაბით, კომპანია Nuctech ძალისხმევას არ იშურებს თავისი ინტერესების ლობირებისა და აშშ-ს კრიტიკულ ინდუსტრიებზე წვდომის მოსაპოვებლად.

ამ ეტაპზე [აშშ-ს სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაცია](#) (TSA) ოფიციალურად აცხადებს Nuctech-ს, როგორც [არასაიმედო კომპანიას, რომელიც მუშაობს ჩინეთის მთავრობაზე. ეს გარემოება კი, აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს](#). პირველად, სამთავრობო სააგენტომ Nuctech-ის დანადგარები 2014 წელს აკრძალა და კომპანიის გადაცდომების დეტალური მიმოხილვა [საიდუმლო დოკუმენტის](#) სახით წარმოადგინა, რაც მის საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნებოდა. Nuctech-ის წარმომადგენლებმა უარყვეს აშშ-ს სატრანსპორტო ადმინისტრაციის ბრალდებები და აღნიშნეს, რომ არ არსებობს მათი დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი და რომ რეალურად, ისინი არ არიან დაკავშირებულნი ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან. წარუმატებელი აღმოჩნდა კომპანიის აშშ-ს ბაზარზე გასვლის ადრინდელი მცდელობებიც. W მიხედვით, “კომპანიამ (Nuctech) ლოს-ანჯელესის პორტთან წლების წინ დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მას უნდა მიეწოდებინა ტვირთის სკანირებისთვის შესაბამისი მოწყობილობები, მაგრამ კონტრაქტი გაუქ-

მდა, როდესაც \$2.4 მილიონი დოლარის ღირებულების აპარატურამ ვერ გაიარა სავლეთ ტესტირება.” იმავე წყაროს თანახმად, 2020 წლისთვის, TSA უარს აცხადებდა აშშ-ს კრიტიკულ ინფრასტრუქტურულ ინდუსტრიებში Nuctech-ის დაშვებაზე, ხოლო თავად Nuctech და მისი ლობისტური კომპანია ამ თემის შესახებ კომენტარს არ აკეთებდნენ.

TSA-ს გარდა, აშშ-ს ეროვნული საბჭო სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად Nuctech-ის აღჭურვილობის წინააღმდეგია და ამ საკითხს აქტიურად ლობირებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ Nuctech-ის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე წვდომა საშიშია, რადგან ეს უკანასკნელი ჩინეთის კომუნისტური პარტიის [სადაზვერვო დანაყოფებს](#) შეგროვებულ კრიტიკულ მონაცემებს უგზავნის. [“WSJ”](#) (The Wall Street Journal) თანახმად, „აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე დაყრდნობით, Nuctech ოპერირებს ევროპის ბევრ ქვეყანაში და მასზე ტვირთის შემოწმების ბაზრის 90%, ხოლო აეროპორტებში ბარგისა და მგზავრების შემოწმების ბაზრის 50% -ზე მეტი მოდის.”

აშშ-ს მთავრობა მოუწოდებს თავის [ევროპულ მოკავშირეებს](#): გერმანიას, იტალიას, უნგრეთს, პორტუგალიას, საბერძნეთს და ა.შ. რომ Nuctech-ს სახელმწიფო ტენდერებთან წვდომა შეუზღუდონ და მის მიერ მოწოდებული ბარგის სკრინინგის ტექნიკა უგულბებულყონ. თუმცა, დღესდღეობით ევროპის სახელმწიფოები ინდივიდუალურად რეაგირებენ Nuctech-ის და მისი საქმიანობის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე. ზოგი მათგანი უგულბებულყოს მათი მთავარი დასავლელი მოკავშირის რეკომენდაციებს და სურს Nuctech-თან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება. თუმცა, ზოგი ამცირებს ამ კომპანიის გავლენებს შიდა კრიტიკულ ინდუსტრიებზე.

Nuctech ევროპაში



(Photo from the [worldin.news](#))

უკვე რამდენიმე წელია, რაც Nuctech Company Ltd. კონკურენციას უწევს საწარმოებს ევროპის კონტინენტზე. არსებობს ათობით ევროპული სახელმწიფო, სადაც კომპანიამ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის კონკურენტ კომპანიებს გაუსწრო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თერთმეტი წლის წინ ევროკავშირმა Nuctech Company Ltd. [დემპინგში](#) დაადანაშაულა. ამის მიუხედავად, ევროკავშირის რამდენიმე წევრმა ქვეყანამ, Nuctech-ისა და მისი პროდუქტების მიმართ პოზიტიური მიდგომები განავითარეს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ბოლო პერიოდში, Nuctech-მა წარმატებით მოახერხა უსაფრთხოების აპარატების [ევროპის აეროპორტებზე](#) გაყიდვა. მაგალითად, 2020 წლის იანვარში, Nuctech Company Ltd.-ის ვარშავის ფილიალმა მოიგო 1,9 მილიონი ევროს ღირებულების [პროექტი](#) ტალინში, ესტონეთში. კომპანია აპირებს ორი საბარგო სკანირების აპარატის ტალინის აეროპორტისთვის მიწოდებას. 2020 წლის ივნისში, Nuctech-მა ფინეთშიც მოიგო [ტენდერი](#), რომლის მიხედვითაც იგი აპირებს ფინეთ-რუსეთის სასაზღვრო გამშვები პუნქტების სკანირებით უზრუნველყოფას. ფინეთის მთავრობა ირწმუნებოდა, რომ Nuctech იყო ამ პროექტის კონტრაქტისთვის ერთადერთი დაბალფასიანი (დაბალღირებულებიანი) პრეტენდენტი. ხორვატიის ამჟამინდელმა ფინანსთა მინისტრმა კი, უპასუხა პარტნიორებისგან წამოსულ კრიტიკას Nuctech-თან დაკავშირებით, რომ [ხორვატიის შესყიდვების შესახებ კანონი](#) ავალდებულებს მათ აირჩიონ ყველაზე დაბალფასიანი კომპანია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბალტიის დანარჩენი ორი სახელმწიფოს შეხედულებები Nuctech-სა

და მისი უსაფრთხოების პროდუქტებზე ცალსახად განსხვავდება. ახლახანს, ლიეტუვის სადაზვერვო სამსახურებმა განგაში ატეხეს Nuctech-სა და მის საბარგო სკანირებთან დაკავშირებით, რომ მოცემული მოწყობილობები ეროვნული უსაფრთხოების რისკებს შეიცავს და მათი გამოყენება უნდა შეჩერდეს. 2021 წლის 17 თებერვალს, [ლიეტუვის ხელისუფლებამ ოფიციალურად გადაწყვიტა აეკრძალა ამ კომპანიის მიერ წარმოებული ბარგის კონტროლის მოწყობილობები, რომლებიც ლიეტუვის სამ საერთაშორისო აეროპორტს მიეწოდებოდა](#). მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ამ უკანასკნელმა მოიგო აეროპორტებში საბარგო სკანირებთან დაკავშირებული [ტენდერი](#), ოფიციალური ხელშეკრულება კომპანიასთან არ გაფორმებულა. ლიეტუვამ, სადავო ჩინური კომპანიის აკრძალვით შექმნა პრეცედენტი და ევროკავშირის სხვა სახელმწიფოები მსგავსი ქმედებისკენ წაახალისა. "კრიტიკულ სექტორებში რუსული და ჩინური წარმოშობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება საფრთხეს წარმოადგენს, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში", - განაცხადა ლიეტუვის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, [მარგირის აბუკევიჩიუსმა](#). ლიეტუვის ხელისუფლებას გათვითცნობიერებული აქვს, რომ Nuctech-ის უსაფრთხოების აპარატურის მიერ მიღებული მონაცემები გადაეცემა ჩინეთის დაზვერვის სააგენტოებს [ჩინეთის კანონმდებლობის](#) შესაბამისად.

ლიეტუვის პრეცედენტისა და ლატვიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (VDD) Nuctech-ის შესახებ ნეგატიური მოსაზრებების მიუხედავად, [ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური](#) (SRS) აგრძელებს Nuctech-ის აღჭურვილობის გამოყენებას ლატვია-რუსეთის სასაზღვრო პუნქტებზე. ამის პარალელურად, რიგის აეროპორტმა დაიწყო სხვა მომწოდებლების ძებნა და Nuctech-თან შემდგომი პარტნიორობის გაუქმებაზე ზრუნვა. ჩინური კომპანიის წარმომადგენლებმა შეიტანეს [საჩივარი](#) შესყიდვების მონიტორინგის სამსახურში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს საქმე სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის გაფრთხილების საფუძველზე დახურა.


უკრაინის საკითხი



(Photo from the economics.segodnya.ua)

Nuctech-თან დაკავშირებული მასობრივი სკანდალი საქართველოს პარტნიორ ქვეყანაში უკრაინაშიც დაიწყო. S-ს მიხედვით, 2016-2018 წლებში, ჩინურმა კომპანიებმა ჯამში 10 მილიარდ უკრაინულ გრივანზე მეტი ღირებულების ტენდერი მოიგეს უკრაინაში, აქედან 0,47 მილიარდი უკრაინული გრივანა მოიპოვა Nuctech Company Ltd-მ, ხოლო დანარჩენი სხვა ჩინურ კომპანიებზე გადანაწილდა. 2017 წელს, სატვირთო მანქანებისა და კონტეინერების შემოწმების მიზნით, უკრაინის მთავრობამ აუქციონი ჩაატარა 482,399 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სტაციონარული სკანერების შესაძენად და დასაინსტალირებლად უკრაინის მოცემულ [საბაჟო პუნქტებზე](#): «ბანევსკი» (სუმის რეგიონი, ყიფტი - გლუხოვი - ბანევსკის გზატკეცილი); «შიერბაკოვკა» (ხარკოვის მხარე, ხარკოვი - ბელგოროდის მაგისტრალი); «ნოვიე იარილოვიჩი» (ჩერნიგოვის მხარე); უჟგოროდი (ტრანსკარპატის რეგიონი); «ტისა» (ჩოპი) (ტრანსკარპატის რეგიონი); «ვადულ-სირეთი» (ჩერნივცის მხარე); იაგოდინი (ვოლინის მხარე); რავა-რუსკა (ლვოვის რეგიონი); «კრაკოვეცი» (ლვოვის რეგიონი); «მოსტისკა» (ლვოვის რეგიონი). მოთხოვნილი სკანერების სისტემა გამიზნულია უკრაინის საზღვარზე კონტრაბანდის მიმოსვლის წინააღმდეგ, ვინაიდან საზღვრის კონტროლის არარსებობამ ქვეყანას მნიშვნელოვანი ყოველწლიური [ეკონომიკური ზარალი](#) (25 მილიარდი უკრაინული გრივანა) მოუტანა. ორმა კომპანიამ, Arempa International Ltd FZC არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან

და NUCTECH COMPANY LIMITED ჩინეთიდან, გაიმარჯვეს ამ ტენდერში - [ProZorro](#) სისტემის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს უკრაინის მთავრობის საჯარო შესყიდვების მონაცემების ოფიციალურ ვებპორტალს. თუმცა, ამ პროექტის განხორციელებისას სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. კერძოდ, უკრაინის სახელმწიფო ფისკალურმა სამსახურმა კონტრაქტორებს არ მიაწოდა უმეტეს მოწყობილობებთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაცია, რომლის გარეშეც აღჭურვილობის დამონტაჟება საბაჟო პუნქტებზე ვერ დაიწყებოდა. შედეგად, კონტრაქტორმა კომპანიამ Arempa International Ltd FZC- მ უარი განაცხადა პროექტის განხორციელებაზე. სამშენებლო ნებართვებისა და პროექტის სათანადო ექსპერტიზის არარსებობის მიუხედავად, ჩინური კომპანია Nuctech დათანხმდა სამუშაოს



(Photo from delo.ua)

შესრულებას. უკრაინის სახელმწიფო ფისკალურმა სამსახურმა Nuotech-ს მისცა უფლება, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, დაემალა [საჭირო სერთიფიკატების დეფიციტი](#) და ოფიციალური ნებართვების არარსებობაც. დამტკიცებულ ლიცენზიაში ხაზი გაესვა "რელიეფის შეცვლისა და ობიექტში საჭირო სამუშაოების შესრულების" საჭიროებას. ზოგადად, მხოლოდ გაცემული ნებართვა საბაჟო პუნქტებში რენტგენის კომპლექსების სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად არ არის საკმარისი. თუმცა, სახელმწიფო ფისკალური სამსახურის მიერ გატარებული ძალისხმევის მიუხედავად, Nuotech-მა ვერ მოახერხა დაგეგმილი პროექტის 2018 წლის დეკემბრამდე დასრულება.

2019 წელს სახელმწიფო საბაჟო სამსახურის უფროსმა მაქსიმ ნეფედოვმა განაცხადა, რომ შვიდი სკანერის ნაცვლად, [უკრაინამ Nuotech-სგან მხოლოდ ოთხი მიიღო და ყველა მათგანი დეფექტური იყო](#). მან ასევე აღნიშნა, რომ სავარაუდოდ "სკანერები დამონტაჟდა ტექნოლოგიური დარღვევით, სპეციალური

კომპლექსებისა და ნებართვების გარეშე, ზოგზე კი ორმაგი ფასის გადახდაც კი განხორციელდა." სახელმწიფო უსაფრთხოების ბიუროს ნეფედოვის განცხადებების საფუძველზე სასამართლო საქმის აღძრა მოუწია.

Nuotech-მა უარყო ნეფედოვის ბრალდებები და განაცხადა, რომ უკრაინას შვიდივე სკანერი მიაწოდა და შვიდივე შეფერხებების გარეშე, ეფექტურად მუშაობს. კომპანიის წარმომადგენლებმა ნეფედოვი მათი აღჭურვილობის შესახებ [დეზინფორმაციის გაგვრცელებაში](#) დაადანაშაულეს. მათ ოფიციალური წერილი გაავრცელეს, რომელშიც ფინანსთა სამინისტროსა და უკრაინის სახელმწიფო ფისკალურ სამსახურს სტაციონარული სკანერებისათვის 8,8 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანების გადახდა მოსთხოვეს.

მიუხედავად ყველაფრისა, საკითხი კომპანიის სასარგებლოდ გადაწყდა და იმავე წელს ფინანსთა სამინისტრომ დაფინანსება გამოყო. ამ დრომდე Nuotech-ის რენტგენის სკანერების აპარატები განაგრძობენ მუშაობას უკრაინის საბაჟო პუნქტებზე.

Nuotech ტაივანში



(Airport Photo from [Dezeen.com](#))

2016 წელს ტაივანის ტაოიუანის ოლქში, კომპანია Nuotech უკანონო საქმიანობაში ამხილეს. 2013 წელს ტაივანის საავიაციო პოლიციის ბიუროს საავიაციო უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა, Sun Yi-ming-მა ხელი მოაწერა 2,31 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას კომპანია Han Yuan-ის თანამფლობელ Tsai Yi-jen-თან, რომელიც ახლო კონტაქტში იმყოფებოდა ტაივა-

ნში Nuotech-ის წარმომადგენელთან, ჩინეთის მოქალაქე Li Weilin-თან. ხელშეკრულება თავისთავად გულისხმობდა ტაივანის აეროპორტებისთვის 17 რენტგენის სკანერის აპარატის შეძენას Nuotech Company Ltd.-სგან.

როგორც შემდგომში გაირკვა, Han Yuan-მა 2,31 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტი Li Weilin-ის წყალობით მიიღო, ვინაიდან ამ უკანასკნელმა Sun Yi-ming-ს [ქრთამის](#) სახით 3,6 მილიონი ახალი ტაივანური დოლარი გადაუხადა, რათა მას ტაივანის აეროპორტებისთვის 17 რენტგენის სკანერის აპარატი Nuotech Company Ltd-ისგან მიეღო. ასევე ცნობილია, რომ Li Weilin-მა Sun Yi-ming-თან სექსუალური კავშირი დაამყარა, მიუხედავად იმისა, რომ Sun Yi-ming დაქორწინებული იყო [მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის](#) მიერ დადგენილი სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციების შესასრულებლად, Sun Yi-ming-მა შეკვეთილი სკანერების რეკონსტრუქცია

დაუკვეთა იაპონიაში. მოგვიანებით, [გამომძიებლებმა დაადგინეს](#), რომ ჩვიდმეტი სკანერიდან თოთხმეტი მწყობრში არ იყო. Sun Yi-ming კორუფციის ბრალდებით 2016 წლის მაისში დააკავეს და 17.5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ტაივანის მთავრობა ირწმუნებოდა, რომ ეს საქმე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის,

ვინაიდან Nuctech-ის სკანერების მეშვეობით, აეროპორტებიდან შეგროვებული მონაცემები შესაძლოა ჩინეთის მთავრობის ხელში მოხვედროლიყო. მიუხედავად ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების მიერ ტაივანის მთავრობის გაფრთხილებისა, ტაივანის „ტაოიუანის საერთაშორისო აეროპორტი“ იყენებს Nuctech-ის ოთხ სკანერს.

Nuctech ნამიბიაში

(Photo from [AGENCE FRANCE-PRESSE/GETTY IMAGES](#))



ერთ-ერთი პირველი კორუფციული სკანდალი Nuctech Company Ltd-ს მონაწილეობით ნამიბიასთან არის დაკავშირებული.

2007 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ჰუ ძინტაო აფრიკაში თორმეტ დღიანი ვიზიტის ფარგლებში [ნამიბიას ესტუმრა](#). მისი მოგზაურობის დროს, ნამიბიამ ღიად გამოხატა თავისი მხარდაჭერა “ერთი ჩინეთის პოლიტიკის» მიმართ და შეეწინააღმდეგა [ტაივან-ნამიბიის ფორუმის](#) შექმნას. ნამიბიის მთავრობის მხარდაჭერა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერს შეუმჩნეველი არ დარჩენია. [ნამიბიაში ჩინეთის საელჩოს თანახმად](#), “2007 წლის თებერვალში ნამიბიაში ვიზიტის დროს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჰუ ძინტაომ პირობა დადო, რომ ნამიბიას 1 მილიარდის ღირებულების შეღავათიან სესხს, 100 მილიონი აშშ დოლარის შეღავათიან საექსპორტო კრედიტს, 30 მილიონი იუანის ოდენობის გრანტსა და 30 მილიონი აშშ დოლარის უპროცენტო

სესხს გადასცემდა.” მოგვიანებით, ნამიბიის ხელისუფლებამ ჩინური ვალი Nuctech-ისგან უსაფრთხოების აღჭურვილობის შესაძენად გამოიყენა. კერძოდ, 2008 წლის მაისში, ნამიბიის მთავრობამ 55.3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების [ხელშეკრულება](#) გააფორმა Nuctech-თან. კონტრაქტის მიხედვით, ამ უკანასკნელს დაევა 13 რენტგენის სკანერის ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საბაჟოზე დამონტაჟება. იმ პერიოდში, Nuctech Company Ltd-ს ხელმძღვანელობდა პრეზიდენტი ჰუ ძინტაოს ვაჟი, ჰუ ჰაიფენგი.

[მსოფლიო ბანკის დოკუმენტის თანახმად](#), მოთხოვნილი აღჭურვილობის წარმოების დასაწყებად, ნამიბიის ფინანსთა სამინისტრომ Nuctech-ს დეპოზიტის სახით 12,8 მილიონი აშშ დოლარი გადაურიცხა. ამ ხელშეკრულების პარალელურად, Nuctech-მა გააფორმა სხვა ხელშეკრულება ადგილობრივ კომპანიასთან Teko Trading-თან და მას სწორედ, მოცემული ოდენობის თანხის გადახდას დაჰპირდა, რომელიც თავად “საკომისიო გადასახადად” გააფორმა. გავრცელებული ინფორმაციით, Teko



(Photo from [The New York Times](#))

Trading-სთვის გადარიცხული თანხიდან 4,3 მილიონი აშშ დოლარი გაიყო Nuctech-ის აფრიკის წარმომადგენელმა, ჩინეთის მოქალაქე Yang Fan-მა და ნამიბიის ორმა მამოქალაქემ, Tekla Lameck-მა და მისმა ბიზნეს პარტნიორმა Kongo Mokaxwa-მ.

პირველად ჩინური კომპანია Nuctech ნამიბიის კორუფციულ სკანდალში ამხილა [ანტი-კორუფციულმა კომისიამ](#) (ACC), რომელიც 2003 წლის ანტიკორუფციული კანონის შესაბამისად შეიქმნა. მათი გამოძიების თანახმად, სამმა ბრალდებულმა სწრაფი ფულადი გადარიცხვების წარმოება დაიწყო. მათ რამდენიმე დღეში დიდი ოდენობის თანხა დახარჯეს, დაუყოვნებლივ იყიდეს ბინები, მანქანები, ფერმები და სახლები, რითაც დაარღვიეს [ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის](#) კანონი, რომელიც ნამიბიაში ბანკებს ავალდებულებს, დიდი ფულადი გადარიცხვების შემთხვევაში მოახდინონ გამომძიებლების ინფორმირება. გამოძიება ოფიციალურად 2009 წელს დაიწყო და სამი ეჭვმიტანილის, Lameck, Mokaxwa და Fan-ის, დაკავებით დასრულდა. მათ ბრალი [კორუფციაში, ფულის გათეთრებაში, მოსყიდვასა და თაღლითობაში](#) დასდეს. ასევე, ნამიბიის მთავრობამ განმარტებები მოითხოვა ბ-ნ ჰუ ჰაიფენგისგან. მიუხედავად ამისა, ბ-ნ ჰუ სასამართლოში დაკითხვის ნაცვლად, დააწინაურეს, როგორც Nuctech-ის მშობელი კომპანიის, T-ის პარტიის მდივანი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენზურა ნამიბიის სკანდალთან დაკავშირებით

ნამიბიაში Nuctech Company Ltd.-სთან დაკავშირებული კორუფციის, მოსყიდვისა და სკანდალების გამო, პეკინმა გადაწყვიტა ქვეყანა ჩინეთის [ინტერნეტ საძიებო სივრციდან ამოეღო](#) და მთელ ტერიტორიაზე, ყველა სახის მედია ცენზურა დაემყარებინა. გარდა ამისა, ჩინეთის ხელისუფლებამ დაბლოკა ონლაინ მონაცემები ნამიბიის კორუფციის სკანდალში ჰუ ჰაიფენგის მონაწილეობის შესახებ. ასევე, 2009 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ დახურა ჩინეთის ყველაზე პოპულარული ვებგვერდების - 163.com, Netease და Sina-ს ტექნოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული

სექციები. კონკრეტულ მონაცემთა ძიებისას, მომხმარებლები იღებდნენ შემდეგ [შეტყობინებას](#): “ძიების შედეგები შეიძლება შეიცავდეს შინაარსს, რომელიც არ მოდის თანხვედრაში შესაბამის კანონებთან, რეგულაციებთან და ქვეყნის პოლიტიკასთან.” გარკვეული პერიოდის შემდეგ, გაცხადდა, რომ ამ საიტებზე ქვეყნდებოდა ნამიბიაში თაღლითობის სკანდალთან დაკავშირებული [კვლევები და ანგარიშები](#), რომლებშიც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერის, ჰუ ძინტაოს და მისი შვილის სახელები იყო მოხსენიებული.

აშშ-ში არსებულმა China Digital Times-მა გამოავლინა, რომ დაბლოკვამდე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროპაგანდის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა [განცხადება](#), რომელიც მიმართული იყო ჩინეთის მედიასაშუალებებისა და ონლაინ ვებსაიტებისათვის და რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელებს ნამიბიის სკანდალზე ცენზურის დადება მოუწევდათ. [Nuctech-ს არ გააკეთებია კომენტარი](#) ჩინეთის მთავრობის მიერ მათთან დაკავშირებული კონტენტის აკრძალვაზე.

ჩინეთის კომუნისტურ პარტიას ცენზურასთან ვრცელი ისტორია აკავშირებს, რომელიც მათ ოფიციალურ წარმომადგენლებსა და სხვადასხვა ვებპორტალებზე გამოქვეყნებულ პოლიტიკურ მოსაზრებებს ეხება. ჩინეთის ძირითადი მედია საშუალებები განსაკუთრებით დაუცველები არიან მათი მთავრობის მიერ დაწესებული [ცენზურის რეგულაციების](#) მიმართ. გლობალური ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად, ჩინეთი ეფექტურად ახერხებს მოსახლეობისთვის მისთვის არასასურველი ინტერნეტ პორტალებისა და საძიებო წყაროების აკრძალვას.

Nuctech აკადემიურ სფეროში

კავშირები სანკტ პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტთან

Nuctech Company Ltd.-ს ეკონომიკური გავლენების გაფართოებისა და კორუფციულ და თაღლითურ გარიგებებში მონაწილეობის გარდა, აღმოჩნდა, რომ Nuctech და მისი მფლობელი ცინხუას უნივერსიტეტი გავლენების გავრცელებას აკადემიური სფეროს გამოყენებითაც ცდილობენ.

ამის ნათელ მაგალითს, ცინხუას უნივერსიტეტსა და სანკტ პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მრავალმხრივი მემორანდუმებიც წარმოადგენს. მართალია, ორ უნივერსიტეტს შორის სხვადასხვა სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობა უკვე წლებს ითვლის, თუმცა ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით იმ მემორანდუმმა მიიპყრო, რომელიც მხარეებს შორის [ტექნოლოგიური და ინოვაციური კუთხით](#) ურთიერთობის გაღრმავებას ემყარება. დოკუმენტს ხელი ჯერ კიდევ 2017 წელს მოეწერა რუსეთ-ჩინეთის სამეცნიერო, ტექნიკური და ინოვაციური თანამშრომლობის წლების (2020-2021) გახსნის ცერემონიის ფარგლებში, რომელსაც ესწრე-

ბოდნენ [რუსეთისა და ჩინეთის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები](#).

Nuctech, როგორც ცინხუას უნივერსიტეტის შვილობილი კომპანია, აქტიურად არის ჩართული პეტერბურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობაში. 2019 წელს, კომპანიამ საჯაროდ განაცხადა, რომ სანკტ პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მჭიდროდ თანამშრომლობს მაღალენერგეტიკული რენტგენის აპარატურის, ანტიტერორისტული აღჭურვილობისა და სხვა ტექნოლოგიების შექმნის საკითხებში. Nuctech-ის მტკიცებით, ეს პარტნიორობა „საზოგადოების უსაფრთხოებისთვის“ ხორციელდება და შესაბამისად, [ერთობლივი ტექნოლოგიების სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების პოტენციალიც](#) არსებობს.

ამ კონკრეტულ საკითხზე სამწუხაროდ, საჯარო ინფორმაცია მწირია, თუმცა „სამოქალაქო იდეა“ აქტიურად აკვირდება მოვლენების განვითარებას და შესაბამისად ასახავს ახალ ინფორმაციას შემდგომ კვლევებში.

ბიბლიოგრაფია

John Ivison. (16/07/2020). *Chinese government-owned firm wins \$6.8M contract to supply security equipment to Canada's embassies*. Source: <https://nationalpost.com/news/chinese-government-owned-firm-wins-6-8m-contract-to-supply-security-equipment-to-canada-embassies>

Nuctech Company Limited. Official Webpage: <http://www.nuctech.com/en/SitePages/SeNormal-Page.aspx?nk=ABOUT&k=ACABGD>

Unitracker. (21/11/2019). *Tsinghua University*. Source: <https://unitracker.aspi.org.au/universities/tinghua-university/>

US Team. (18/07/2020). *Chinese State-Controlled Company Nuctech Is The Biggest Threat To The global Security Screening Market As Huawei Is a Threat in 5G*. Source: <https://newscomworld.com/2020/07/18/chinese-state-controlled-company-nuctech-is-the-biggest-threat-to-the-global-security-screening-market-as-huawei-is-a-threat-in-5g/>

John Collingridge. (09/08/2020). *Alert over Nuctech, the 'Huawei of airports'*. Source: <https://www.thetimes.co.uk/article/alert-over-nuctech-the-huawei-of-airports-h3fzw8s8h>

CNNC. (04/04/2019). *CNNC teams up with Tsinghua University on school-enterprise reform*. Source: http://en.cnn.com.cn/2019-04/04/c_352548.htm

Michael Wines. (21/07/2009). *Graft Inquiry in Namibia Finds Clues in China*. Source: <https://www.nytimes.com/2009/07/22/world/africa/22namibia.html>

Coalition for a Prosperous America. (17/07/2020). *Chinese government-owned firm wins \$6.8M contract to supply security equipment to Canada's embassies*. Source: <https://www.prosperousamerica.org/chinese-government-owned-firm-wins-6-8m-contract-to-supply-security-equipment-to-canada-s-embassies>

2008 წლის 27 მარტის საქართველოს მთავრობის განკარგულება №166/Ordinance of the Government of Georgia of March 27, 2008 №166; იხ/see.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2107084?publication=0>

Chienes business in Georgia 2010; იხ/see.: <http://images.mofcom.gov.cn/ge/accessory/201010/1288000194529.pdf>

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს 2015 წლის ანგარიში - „სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი“/ Transparency International Georgia; «How and what is the state budget spent in 2013-2014»; 2015 იხ./see: https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/saxelmcpo_shesqidvebi_2013-2014_clebshi.pdf

2014 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა - „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახურის 2012-2013 წლების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“/ Report of the State Audit Office of 2014 - “Legal Entity of Public Law under the Ministry of Finance of Georgia - Revenue Service Financial and Compliance Audit Report 2012-2013” იხ/see.: <https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2014/tb-shemosavlebi1.pdf>

Electronic Tender SPA110030724 იხ./see: <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=36102&lang=ge>

Electronic Tender SPA130024704 იხ./see: <http://tenders.procurement.gov.ge/public/?go=97561&lang=ge>

სტაციონალური რენტგენული დათვალიერების მოწყობილობის შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის N3 ოქმი/ Minutes of the meeting of the tender commission of the electronic tender for the purchase of the stationary X-ray examination equipment N3 იხ./see: <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=615057&code=1385670097>

სტაციონალური რენტგენული დათვალიერების მოწყობილობის შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის N6 ოქმი/ Minutes of the meeting of the tender commission of the electronic tender for the purchase of the stationary X-ray examination equipment N6; იხ./see: <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=636894&code=1387829031>

Decision of the Dispute Resolution Board of the State Procurement Agency 07.02.2014 იხ./ see: https://tenders.procurement.gov.ge/dispute/engine/document.php?code=http://nbs.napr.gov.ge/nbs/v3/blobs/spa-dispute-2016-10-25-15/14a8f553457e2ae645d4f09d37f6c531-c08d14b2-9dc6-4526-8ced-d7a6e7cda1a9&mime=application/pdf&save=decision_DIS130024704_02.pdf

სტაციონალური რენტგენული დათვალიერების მოწყობილობის შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის N8 ოქმი/ Minutes of the meeting of the tender commission of the electronic tender for the purchase of the stationary X-ray examination equipment N8 იხ./see: <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=720557&code=1395775201>

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ/LAW OF GEORGIA ON PUBLIC PROCUREMENT; იხ./see.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=78>

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 31 აგვისტოს N97144-21-02-ისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის 25 სექტემბრის N2226 თანხმობების საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა/ Simplified state procurement carried out on the basis of the approvals of N97144-21-02 of the Head of the Revenue Service of August 31, 2018 and N2226 of September 25, 2018 of the Head of the Revenue Service.

კონტრაქტი/Agreement between NUCTECH Company Limited and Revenue Service N1/07.12.18/1 (#NUC1Y180265A00)

კონტრაქტი/Agreement between NUCTECH Company Limited and Revenue Service N1/07.12.18/2 (#NUC1Y181522A00)

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის 11 ნოემბრის N4423 თანხმობისა და SMP190004200 თანხმობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის 05 აგვისტოს N3191 თანხმობისა და SMP200003200 თანხმობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა/Simplified state procurement based on the consent of the State Procurement Agency N4423 of November 11, 2019 and SMP190004200 and the simplified state procurement based on the consent of the State Procurement Agency N3191 and SMP200003200 of August 5, 2020

კონტრაქტი/Agreement between NUCTECH Company Limited and Revenue Service N1/021219/1 (#NUC1Y191661A00)

კონტრაქტი/Agreement between NUCTECH Company Limited and Revenue Service #:NU-C1Y200851A00

Yen Nee Lee. (16/09/2019). *These 4 charts show how US-China trade has changed during the tariff dispute.* Source: <https://www.cnbc.com/2019/09/18/what-us-china-trade-war-means-for-imports-exports-and-soybeans.html>

Transport Security Administration (TSA). (10/02/2021). *TSA Air Cargo Screening Technology List*

(ACSTL). Source: https://www.tsa.gov/sites/default/files/non-ssi_acstl.pdf

Rohan Abraham. (03/07/2020). *US accuses Chinese screening tech firm Nuctech of passing passenger info to Beijing*. Source: <https://economictimes.indiatimes.com/magazines/panache/us-accuses-chinese-screening-tech-firm-nuctech-of-passing-passenger-info-to-beijing/article-show/76769001.cms>

Morgan Chalfant. (04/10/2016). *Chinese Security Company Accused of Corruption Lobbies U.S. Government*. Source: <https://freebeacon.com/national-security/chinese-security-company-accused-corruption-lobbies-u-s-government/>

Astrophysics. (N/A). *Chinese Global Security Threats*. Source: <https://www.astrophysicsinc.com/chinesesecuritythreat/>

Yana Rozhdestvenskaya. (28/06/2020). *WSJ: USA convinces European countries not to cooperate with Chinese company Nuctech*. Source: <https://www.world-today-news.com/wsj-usa-convinces-european-countries-not-to-cooperate-with-chinese-company-nuctech/>

Jon Fingas. (28/06/2020). *US pushes Europe to reject Chinese baggage screening tech over spying fears*. Source: <https://www.msn.com/en-us/news/technology/us-pushes-europe-to-reject-chinese-baggage-screening-tech-over-spying-fears/ar-BB164HVE>

European Commission. (17/12/2009). *Imposing a provisional anti-dumping duty on imports of certain cargo scanning systems originating in the People's Republic of China*. Source: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:332:0060:0072:EN:PDF>

Laurens Cerulus. (08/08/2020). *Chinese tech companies could face trouble in Europe*. Source: https://www.politico.eu/article/meet-china-inc-s-firms-that-could-face-trouble-in-europe-2/?fbclid=IwAR0f5fKfsLKb8axWbulLOzE70-rult8CqDuGSZce_9MxcF0VC1YkBHK0fZ8

Tereza Green. (05/03/2020). *Cobalt Helps Nuctech Warsaw Win Public Procurement Procedure for Tallinn Airport Deal*. Source: https://ceelegalmatters.com/estonia/12903-cobalt-helps-nuctech-warsaw-win-public-procurement-procedure-for-tallinn-airport-deal?fbclid=IwAR1shHBnF3PsfxcF-Ge2uEjr8rvkszlwkahrKYWOjLU_T6_-yTLWumm3SDc

Report.ge. (28/06/2020). *The USA presses Europe to decline Chinese security-screening company*. Source: https://report.ge/en/world/the-usa-presses-europe-to-decline-chinese-security-screening-company/?fbclid=IwAR07HKs_7nq1jcXh5wnYIEh1QVYPxC9f5zvOBcJDk_wlr9tss3JbXUdchDo

Mu Lu. (30/06/2020). *US should improve biz competitiveness instead of meddling in others*. Source: <https://www.globaltimes.cn/content/1193120.shtml>

Fox44news. (29/01/2021). *Lithuania set to block Chinese airport scanner firm Nuctech*. Source: <https://www.fox44news.com/news/business-news/lithuania-set-to-block-chinese-airport-scanner-firm-nuctech/>

Andrew Rettman. (19/02/2021). *Baltic states warn EU on China and Russia espionage*. Source: <https://112.international/politics/baltic-states-warn-eu-on-china-and-russia-espionage-59109.html>

Worldin. (17/02/2021). *Due to security risks, the Lithuanian government bans the Chinese company's Nuctech baggage screening X-ray equipment at airports*. Source: <https://www.worldin.news/41173/2021/02/due-to-security-risks-the-lithuanian-government-bans-the-chinese-companys-nuctech-baggage-screening-x-ray-equipment-at-airports.html>

Archyde. (22/02/2021). *SRS continues cooperation with Chinese company Nuctech, whose use of radars at airports has been opposed by the Lithuanian government*. Source: <https://www.archyde.com/srs-continues-cooperation-with-chinese-company-nuctech-whose-use-of-radars-at-airports-has-been-opposed-by-the-lithuanian-government-in-latvia/>

Worldin. (21/02/2021). *SRS continues cooperation with Chinese company Nuctech, whose*

use of radars at airports has been opposed by the Lithuanian government. <https://www.worldin.news/72063/2021/02/srs-continues-cooperation-with-chinese-company-nuctech-whose-use-of-radars-at-airports-has-been-opposed-by-the-lithuanian-government-in-latvia.html>

Stockworld. (03/09/2018). *Chinese companies totally won more than UAH 10 billion tenders in Ukraine over two years*. Source: https://www.stockworld.com.ua/en/news/chinese-companies-totally-won-more-than-uah-10-billion-tenders-in-ukraine-over-two-years?fbclid=IwAR2BoguqxCLTeWfjp-3d9_-QHibBgoYtqO89nh3gSEhfuR6u44rza2VXT3Gg

Elena Boiuk. (11/07/2018). *Новые сканеры скоро заработают на таможенных пунктах Украины/New scanners will soon work at the customs points of Ukraine*. Source: https://logist.today/dnevnik_logista/2018-07-11/novye-skanery-skoro-zarabotajut-na-tamozhennyh-punktah-ukrainy/?fbclid=IwAR0F9C9igZfz6tHRxtBqnuQbBpbyk3Wje8ts1kTwqjiti99nFLjmQnuEACM

Economics.segodnya.ua. (25/10/2017). *АМКУ разблокировал скандальный тендер по закупке сканеров для таможни/AMCU unlocked controversial tender for the purchase of scanners for customs*. Source: <https://economics.segodnya.ua/economics/enews/amku-razblokiroval-skandalnyy-tender-po-zakupke-skanerov-dlya-tamozhni-1066756.html?fbclid=IwAR2> Таисия Черненко/Taisiya Chernenko. (12/12/2018). *ДФС без разрешительных документов допустила компанию к установлению сканеров/DFS allowed the company to install scanners without permits*. Source: <https://www.unn.com.ua/ru/news/1767441-dfs-bez-dozvilnikh-dokumentiv-dopustila-kompaniyu-do-vstanovlennya-skaneriv>

Delo.ua. (25/10/2019). *Китайцы требуют от Маркаровой оплатить 7 сканеров для таможни (ДОКУМЕНТ)/The Chinese demand from Markarova to pay for 7 scanners for customs (DOCUMENT)*. Source: https://delo.ua/economyandpoliticsinukraine/kitajcy-trebujut-ot-markarovoj-oplatit-7-skanero-359630/?fbclid=IwAR0KYZiSwxNChLu-aQPoS1RYfbQAnAyWHsI3SPRGD0F_FZg-trzdoqlzGh0

Ukranews. (29/10/2019). *Китайский производитель выдвинул официальную претензию Нефедову/A Chinese manufacturer has made an official claim to Nefedov*. Source: https://ukranews.com/news/662471-kitajskij-proizvoditel-vydvinul-ofitsialnuyu-pretenziyu-nefedovu?fbclid=IwAR1x-wyWwkHh7jwl-K2ggt008IPV3GDdIfnN8K67uPhdMXNnKKWqK_iuxUFQ

Jason Pan. (28/02/2020). *Ex-Aviation Police Bureau official guilty of corruption*. Source: <https://www.taipeitimes.com/News/taiwan/archives/2020/02/28/2003731760>

Global Government Procurement Opportunity Network: <https://gpa.taiwantrade.com.tw/zh/pages/about/tender-faqs>

Chang Shin-wei. (27/07/2016). *Chinese Honeytrap Snares Taiwanese Aviation Police Official*. Source: <https://international.thenewslens.com/article/45221>

Gordon Fairclough, Sarah Childress and Marc Champion. (22/07/2009). *Probes Involve Firm Linked to China Leader's Son*. Source: <https://www.wsj.com/articles/SB124820142767869383>

NELAGO NDAPANDULA AMADHILA. (01/2012). *Perspectives on China's rise in Namibia: The effects on foreign policy and domestic politics*. Source: <https://core.ac.uk/download/pdf/145053849.pdf>

Henning Melber. (04/2019). *China in Namibia: An "All-Weather-Friendship" Examined*. Source: https://www.researchgate.net/publication/332865893_China_in_Namibia_An_All-Weather-Friendship_Examined

Embassy of the People's Republic of China in the Republic of Namibia. (N/A). *Interpretation of China-Namibia Relations*. Source: <http://na.china-embassy.org/eng/zngx/t410246.htm>

Simon Montlake. (03/08/2009). *China censors Namibia corruption case that may touch presi-*

dent's son. Source: <https://www.csmonitor.com/World/Asia-Pacific/2009/0803/p06s01-woap.html>

Stuart Yikona, Brigitte Slot, Michael Geller, Bjarne Hansen, Fatima el Kadiri. (2011). *A Ill-gotten Money and the Economy: Experiences from Malawi and Namibia*. A World Bank Study. Source: <http://documents1.worldbank.org/curated/en/564471468288012918/pdf/651760PUB0EPI100money09780821388877.pdf>

Sharon LaFraniere and John Grobler. (21/09/2009). *China Spreads Aid in Africa, With a Catch*. Source: <https://www.nytimes.com/2009/09/22/world/africa/22namibia.html>

GlobalSecurity.org. (N/A). *Namibia - Corruption*. Source: <https://www.globalsecurity.org/military/world/africa/na-corruption.htm>

Staff Writers. (21/07/2009). *Firm tied to China president in Namibia graft case*. Source: https://www.energy-daily.com/reports/Firm_tied_to_China_president_in_Namibia_graft_case_999.html

The Namibian (11/06/2010). *Nuctech accuses EU of dumping scanners*. Source: <https://www.namibian.com.na/66999/archive-read/Nuctech-accuses-EU-of-dumping-scanners>

Disha Uppal. (23/07/2009). *Chinese Firm Embroiled in Namibian Corruption Scandal*. Source: <https://www.dw.com/en/chinese-firm-embroiled-in-namibian-corruption-scandal/a-5213591>

Rebekah Heacock. (22/07/2009). *No more Namibia: China blocks search results for entire country*. Source: <https://opennet.net/blog/2009/07/no-more-namibia-china-blocks-search-results-entire-country>

Capital Business. (23/07/2009). *China Internet News Blocked*. Source: <https://www.capitalfm.co.ke/business/2009/07/china-internet-news-blocked/>

Ding Xiao and Grace Kei Lai-see. (24/07/2009). *China Censors News of Hu's Son*. Source: <https://www.rfa.org/english/news/china/husson-07232009114914.html>

Clifford Coonan. (22/07/2009). *China blocks access to web portals*. Source: <https://variety.com/2009/biz/news/china-blocks-access-to-web-portals-1118006324/>

Radio Free Asia. (24/07/2009). *China Censors News of Hu's Son*. Source: <https://www.refworld.org/docid/4a842f0a28.html>

NEWS WIRES. (23/07/2009). *Web censored for stories on president's son*. Source: <https://www.france24.com/en/20090723-web-censored-stories-presidents-son->

St. Petersburg State University. (10/09/2020). *СПбГУ и Университет Цинхуа заключили соглашение о сотрудничестве в области инноваций/SPBGU and Tsinghua University concluded agreement on cooperation in areas of innovation*. Source: <https://spbu.ru/news-events/novosti/spbgu-i-universitet-cinhua-zaklyuchili-soglashenie-o-sotrudnichestve-v-oblasti>

St. Petersburg State University. (29/06/2017). *Министерство образования КНР и СПбГУ договорились о расширении сотрудничества/Ministry of Education of the People's Republic of China and St. Petersburg State University agreed to expand cooperation*. Source: <https://spbu.ru/news-events/novosti/ministerstvo-obrazovaniya-kr-i-spbgu-dogovorilis-o-rasshirenii-sotrudnichestva>

Didi Kirsten Tatlow. (19/01/2021). *CHINA'S TECHNOLOGICAL RISE, Implications for Global Security and the Case of Nuctech*. Source: <https://dgap.org/en/research/publications/chinas-technological-rise>



ჩვენი გუნდი

გაიცანით ადამიანები,
რომლებიც ჩვენს საოცარ გუნდს ქმნიან

თინა, ანი, მარი

<https://cividea.ge/en/about-us/>





სამოქალაქო იძულება



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე პასუხისმგებლები არიან ანი კინურაშვილი & მარიამ უსენაშვილი